ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4231069

ნომერი: AR1633402

თარიღი : 26.09.2018

გაცემის თარიღი : 23.10.2018

გაცნობის თარიღი : 23.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საკოლმეურნეო მდელო N1ა (ხიზაბარვის ქუჩა);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერი შარიქაძე პ/ნ 01017022163
- გოგებაშვილის N46ბ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 სექტემბერს №AR1633402 განცხადებით მომართა ვლადიმერ შარიქაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017

წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, საკოლმეურნეო მდელო N1-ა (ხიზაბავრის ქუჩა) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.12.019.056), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 07 დეკემბრიდან 2020 წლის 07 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ განმცხადებელი ითხოვს: საცხოვრებელი ფართობად 1508.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2022.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 337.8 კვ.მ-ის ნაცვლად 325.8 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 454.5 კვ.მ-ის ნაცვლად 28.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 296.7 კვ.მ-ის ნაცვლად 321,2 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 3210.7 კვ.მ-ის ნაცვლად 3312.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 2022.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 325.8 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 321,2 კვ.მ, დამხმარე ფართობად 28.7 კვ.მ, საერთო ფართობად 3312.1 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 26 სექტემბრის №AR1633402 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3722533 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.